სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებების შესრულება სავალდებულოა.

თუ არ ეთანხმებით სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებებს ან მათი შესრულების ვადებს, თქვენ უფლება გეძლევათ გაასაჩივროთ მიწერილობა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მმართველობის ორგანოებში მისი მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

კვინტრაძე ნუგზარი

სახელმწიფო ინსპექტორის გვარი, სახელი

2019 წ. „25" თებერვალი

(ხელმოწერა)

გაბრიჭიძე გელა

სახელმწიფო ინსპექტორის გვარი, სახელი

2019 წ. „25" თებერვალი

(ხელმოწერა)

მიწერილობა შესასრულებლად მივიღე:

[illegible]

გვარი, სახელი, თანამდებობა

2019 წ. „25" თებერვალი

(ხელმოწერა)

საკონტროლო შემოწმების (გამოკვლევის) შედეგები

შემოწმების თარიღი	შემოწმების სახე	შესრულებული პუნქტების N	ვინ ჩაატარა შემოწმება		ვინ გაეცნო	
			თანამდებობა, გვარი, სახელი	ხელმოწერა	თანამდებობა, გვარი, სახელი	ხელმოწერა
1	2	3	4	5	6	7

ფორმა N 1

სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობა

მიწერილობა N 45

სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე

„20" „თებერვალი" 2019 წ.

შპს „ნირვანას" (ს/კ 401990075 - სასტუმრო ნირვანა)

(მიწერილობის ადრესატის)

დირექტორს, ქალბატონ ზანდა კალატოზიშვილს

თანამდებობა, გვარი, სახელი)

ჩვენ, შპს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელმწიფო ზედამხედველობის დეპარტამენტის II სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა სამოქალაქო უსაფრთხოების ლეიტენანტმა **ნუგზარ კვინტრაძემ** და I სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა სამოქალაქო უსაფრთხოების მაიორმა **გელა გაბრიჭიძემ**

(მუნიციპალიტეტი, სახელმწიფო ინსპექტორის სტატუსი, სახელი, გვარი)

სასტუმრო (შპს) „ნირვანას" დამფუძნებელთან, ლევან ჯამაგიძესთან -ერთად

ჩავატარეთ 18.02.2019 წლის **N 6** განკარგულების საფუძველზე, შპს „ნადიკარას" კუთვნილი სასტუმრო „ნირვანას" (მდებარე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N 16) შენობის **დეტალური** სახანძრო-ტექნიკური - **შემოწმება (გამოკვლევა)**

(რა შემოწმდა, ზედამხედველობის ობიექტის დასახელება, მისამართი)

შემოწმების (გამოკვლევის) დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 34-მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად წინადადება გეძლევათ შეასრულოთ შემდეგი ღონისძიებები:

№	ღონისძიებების დასახელება	შესრულების ვადა	აღნიშნა შესრულების შესახებ (აღინიშნება მხოლოდ შესრულებული ღონისძიებები)
1	2	3	4
1.	ვინაიდან შეუძლებელია ხანძრის, ან/და სხვა საგანგებო სიტუაციების დროს სახანძრო ტექნიკის სასტუმროს შენობასთან მისვლა, ქუჩაზე გამავალი ბუნებრივი აირის ლითონის მილსადენის გამო, დაისვას საკითხი შესაბამის ორგანიზაცია(ებ)სთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სახანძრო ტექნიკისთვის შენობასთან შეუფერხებლად მისვლის შესაძლებლობა. **საფუძველი:** ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი. დანართი N 6-ის მიხედვით;	30.04.2019 წ.	

	ძოწყოს შენობის სართულებიდან მეორე საევაკუაციო გასასვლელი. **საფუძველი:** ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" მე-2 მუხლის, პუნქტი 3;	30.05.2019 წ	
3.	შემუშავდეს და სასტუმროს ნომრებში გამოიკრას ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმები; **საფუძველი:** ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" მე-15 მუხლის, მე-2 პუნქტი და მე-5 მუხლის, მე-7 პუნქტი.	30.06.2019 წ.	
4.	სასტუმროს საევაკუაციო გზებზე დამონტაჟდეს ავარიული განათება; **საფუძველი:** ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" მე-8 მუხლის, პირველი პუნქტი.	30.11.2019 წ.	
5.	სასტუმროს პირველ სართულზე სამზარეულოს დერეფანი გათავისუფლდეს ჩახერგილობებისაგან; **საფუძველი:** ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.	30.03.2019 წ.	
6.	შენობის საქვაბე გამოიყოს სამრეცხაო სათავსისაგან არანაკლებ II ხარისხის ცეცხლმედეგობის მქონე ხანძარსაწინააღმდეგო კარებითა და ტიხრებით. **საფუძველი:** ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.	30.11.2019 წ.	
7.	შენობის საქვაბეში და სამზარეულოში ჩამრთველ-ამომრთველები ჩაისვას უწვი მასალისაგან დამზადებულ ხუფებში. ელექტროსადენების გაყვანა მოხდეს საკაბელო არხების გამოყენებით. **საფუძველი:** ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" მე-9 მუხლის, პირველი პუნქტი და მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.	30.04.2019 წ.	
8.	შენობაში დამონტაჟდეს ხანძრის აღმომჩენი ავტომატური სისტემა (სახანძრო სიგნალიზაცია); **საფუძველი:** ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" მე-11 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები.	30.11.2019 წ.	
9.	სასტუმროს შენობაში დამონტაჟდეს ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემები; **საფუძველი:** ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი.	30.11.2019 წ.	EXIT

	სასტუმროს სათავსები დაკომპლექტდეს ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით (ცეცხლმაქრებით); **საფუძველი:** ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის და დანართი 7-ის შესაბამისად.	30.03.2019 წ.	
11.	შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად ობიექტის თანამშრომელთაგან დაინიშნოს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი. **საფუძველი:** ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" მე-5 მუხლის, მე-2 პუნქტი.	30.05.2019 წ.	
12.	უზრუნველყოფილ იქნას მომუშავე პერსონალის მიერ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით; **საფუძველი:** ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი. დანართი N 6-ის მიხედვით;	30.05.2019 წ.	
13.	სასტუმროსთვის შემუშავდეს სახანძრო უსაფრთხოების ზომები და ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედებების ინსტრუქცია. აგრეთვე ადმინისტრაციის მხრიდან უზრუნველყოფილი იქნეს სტუმრების ინფორმირება შენობაში სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ. (სასტუმროს ადმინისტრაციისათვის მისაღები ფორმით). **საფუძველი:** ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" მე-5 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტები აგრეთვე მე-15 მუხლის, მე-2 პუნქტი.	30.04.2019 წ.	

მიწერილობა შედგენილია:

1. „ტექნიკური რეგლამენტის სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" მოთხოვნების საფუძველზე;
2. „ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის და ხანძრის ჩაქრობის დანადგარების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების" საფუძველზე;
3. „ელექტროდანადგარების მოწყობის წესების" საფუძველზე;
4. „ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები - დაცვის ობიექტებზე ხანძრის გავრცელების შეზღუდვა"-ის მოთხოვნების საფუძველზე;
5. „ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის და მაუწყებლობის მართვის სისტემების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების" საფუძველზე;